სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ქ.თბილისი **--- --------2023 წელი**

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის NAT ----- ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

1.2. ხელშეკრულების ღირებულება: საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში;

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ წინამდებარე ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

1.4. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში;

1.6. „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7. “ტექნიკური დოკუმენტაცია”- მიმწოდებლის მიერ NAT ---- ელექტრონულ ტენდერში (აუქციონის გარეშე) სატენდერო წინადადებებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

სსიპ “საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი“- ს (მისამართი: ქ.თბილისი, თიანეთის გზატკეცილი №37, და 37ა, საკადასტრო კოდი: 01.11.11.019.022(023)) ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგაობის, მავნე ორგანიზმების და გამოვლენილ მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის შეწამლვის მომსახურება (CPVკოდი: 77200000; 77231200).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულებაა ----- (----------) ლარი;

3.2. „ხელშეკრულების“ ღირებულება მოიცავს „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებულ „მიმწოდებლის“ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

3.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულებების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

3.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.1.1. უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების მე - 2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა 2023 წლის 01 მარტიდან 2023 წლის 01 ნოემბრამდე (სულ სამ ეტაპად: მარტი, ივლისი, ოქტომბერი) შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, შემსყიდველის მისამართზე: ქ. თბილისი, თიანეთის გზატკეცილი №37 და 37ა-ში მდებარე, სსიპ „საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი“ - ში.

4.1.2. მიმწოდებელი ვალდებულია წამლობის დაწყებამდე შემსყიდველს შეუთანხმოს წამლობისათვის გამოსაყენებელი პრეპარატ(ებ)ი.

4.1.3. მიმწოდებელი ვალდებულია მწვნე ნარგაობების შეწამლვა მოახდინოს ფიტოსანიტარული კვლევის საექსპერტო დასკვნისა და მასში გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად;

4.1.4. ფიტოსანიტარული კვლევის შედეგად დადებული დასკვნის/გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად, შემსყიდველის დავალებით შესაძლებელია გამოყენებული იქნას მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ვებ გვერდეზე განთავსებულ საქართველოში რეგისტრირებულ პესტიციდების და აგროქიმიკატების ნუსხაში ან/და საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული აგროქიმიკატების სახელმწიფო კატალოგში რეგიტრირებული პრეპარატები. შემსყიდველის დავალებით განსაზღვრული პრეპარატების შესყიდვა უნდა განახორციელოს მიმწოდებლმა.

4.1.5. მიმწოდებელი ვალდებულია წამლის შეზავების პროცესის ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაცია წინასწარ აცნობოს შემსყიდველს, რომელიც უფლებამოსილია დაესწროს წამლის შეზავების პროცესს. წამალი უნდა იყოს ქარხნულად დალუქული და არ უნდა იყოს ვადაგასული.
4.1.6. მიმწოდებელი ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში, შეწამლვის მომსახურება განახორციელოს ცენტრის წარმომადგენელთან ერთად.

4.1.7. მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება განახორციელოს შემსყიდველის მიერ მიცემული კონკრეტული დავალების შესაბამისად.

4.1.8. მიმწოდებელი ვალდებულია ობიექტზე მომსახურების გაწევის პროცესში დაიცვას უსაფრთხოების ზომები (საკუთარი პერსონალისა და მოსახლეობის).

4.1.9. მიმწოდებელი ვალდებულია ობიექტზე მომუშავე პერსონალი უზრუნველყოს შესაბამისი სპეც-ფორმით, სპეციალური ხელსაწყოებით, ხელთათმანებითა და სხვა აუცილებელი საშუალებებით.

4.1.10. მიმწოდებელს მომსახურების გაწევის ადგილზე საჭიროების მიხედვით უნდა გააჩნდეს: ორი შესაწამლი აპარატი, არანაკლებ 12.0 ლიტრიანი ავზით, გაფრქვევის დიაპაზონი არანაკლებ 10 მ. და ერთი შესაწამლი აპარატი, არანაკლები 500 - დან 2000 - მდე ლიტრი ავზით, გაფრქვევის დიაპაზონი არანაკლებ 30 მ.

4.1.11. გასაწევი მომსახურების სპეციფიკისა და შემსყიდველის საჭიროებიდან გამომდინარე შემსყიდველი არ იღებს ვალდებულებას ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობების სრულად დაკვეთის შესახებ.

4.1.12. გასაწევი მომსახურების რაოდენობები არის სავარაუდო, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შესაძლებელია შეიცვალოს მოთხოვნის შესაბამისად და დაზუსტდეს ფაქტიური შესრულების მიხედვით, ერთეულის ფასების შეუცვლელად, ხელშეკრულების საერთო ღირებულების ფარგლებში.
4.1.13. მიმწოდებელი ვალდებულია განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება.

4.1.14. გაუწიოს შემსყიდველს მომსახურება სათანადო ხარისხით.
4.1.15. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.
4.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
4.2.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;
4.3. შემსყიდველი ვალდებულია:
4.3.1.უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;
4.3.2. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.
4.4. შემსყიდველი უფლებამოსილია:
4.4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მისი საჭიროების გათვალისწინებით, ნებისმიერ ეტაპზე ცალმხრივად მოახდინოს მომსახურების მოცულობების კორექტირება ერთეულის ფასისა და ჯამური ღირებულების გაუზრდელად (აღნიშნულზე შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე გაფორმდება შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, ამსათან მიმწოდებელს არ ექნება უფლება უარი განაცხადოს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანაზე).

4.4.2. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

5. მომსახურების ხარისხი

5.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
5.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხზე, რომ სამუშაოები შესრულებული იქნება საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო წესების მოთხოვნათა დაცვით.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი ან/და შეამოწმონ მომსახურება,

რათა დარწმუნდენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებთან.

6.2. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც მომსახურების მიღების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

6.3. კონტროლს (ინსპექტირება) განახორციელებს სსიპ „საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი“-ს -------

6.4. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი გაწეულ მომსახურებაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ დადგენილ გონივრულ ვადებში გამოასწოროს წუნი.

6.5 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებით გაწეული მომსახურების ხელახალი შესრულება.

6.6. მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას.

6.7. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

7. მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მომსახურების მიღება განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწეული მომსახურების გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

7.2. მიღება-ჩაბარების აქტი მხარეთა შორის გაფორმდება შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

7.3. იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიმწოდებლის მხრიდან ვადის გადაცილებლად.

7.4. მომსახურების მიღებას აწარმოებს სსიპ „საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი“-ს ----------

8. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

8.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში. ანგარშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით;

8.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, თითოეული ეტაპის დამთავრებისა და ფაქტიურად გაწეული მომსახურების თაობაზე, მიმწოდებლის მიერ ანგარიშსწორებისთვის საჭირო დოკუმენტაციის (მ.შ. მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის - ანგარიშსწორების მომენტში დღგს გადამხდელის შემთხვევაში) წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

9. ფორსმაჟორი

9.1. ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად, თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორსმაჟორული გარემოებების შედეგი;

9.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორსმაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით და სხვა გარემოებებით;

9.3. ფორსმაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ შესრულების შეფერხება გაგრძელდება 1 (ერთი) თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

11.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არსებითად დარღვევისათვის ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

11.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულებისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02% - ის ოდენობით;

11.3. ხელშეკრულების გათვალისწინებული მომსახურების ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

11.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნი შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით;

11.5. ამ ხელშეკრულებით, მხარეთა შორის შეთანხმების და/ან კანონმდებლობით გათვალისწინებული პატივსადები საფუძვლების გარეშე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების ვადამდე ადრე ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

11.6. მიმწოდებელი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სრულად აანაზღაუროს ზარალი, რომელიც გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულებით.

11.7. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში, რის შესახებაც შემსყიდველი წინასწარ აცნობებს მიმწოდებელს.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

14. დავების გაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

14.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

16. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე;

16.2.წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება „შემსყიდველთან“, ერთი - „მიმწოდებელთან“.

17. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„შემსყიდველი”

„მიმწოდებელი“